

K 24.803  
3



აფხაზეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

გ. შარვაშიძის ქ.

0000

ქვემოთა

სარგის კაკაბაძე.

# ავსაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი ღავთარჩი.

124.803  
3



თფილისი  
სტამბა ს. ლოსაბერიძისა.  
1914

0005-5860  
0005-70666

ქართული ბიბლიოთეკა  
თფილისი

აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დავთარი ვიპოვე 1909 წელს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების არქივში. ხელნაწერი ჩასმულია მტკიცე ყდაში. ტექსტი დაწერილია ნუსხა ხუცურად, ხოლო სათაურები წითურად, რაც ამ გამოცემაში შავად არის აწყობილი. ხელნაწერი ზომით 21/15 სანტიმეტრია და შეიცავს სულ 206 ფურცელს, პაგინაცია არა აქვს. ხელნაწერის ბოლო ფურცელზე მიწერილია: „ჩაწერილ არს კომიტეტსა შინა საეკლესიოსა ჩყლვ წელსა № 111 ქუთაისს“. ტექსტი გამოცემულია უცვლელად, მხოლოდ ნიშნები მე დავსხი (გარდა სამი წერტილისა) და ციფირებიც სიტყვების მაგივრად ნახმარია შესამოკლებლად.

დიადი მნიშვნელობა ამ ტექსტისა თავის თავად ცხადია. დავთარის გადაწერა დამთავრებულა, როგორც ბოლო მინაწერიდან სჩანს, 8 ნოემბერს 310 ქორანიკონს, რაიც უდრის, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ აქ წელიწადი 1 სექტემბრიდან არის ნაანგარიშევი (იხ. ამის შესახებ ჩემი—დიდი ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი), 1621 წელს. მაგრამ დავთარი თავისი ცალკე ნაწილების მხრივ შედგენილი უნდა იყოს სხვა-და-სხვა და უფრო ადრინდელ დროს. ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი ამ დავთარისა (ცალკე ნუსხები) მე ვიპოვე ბიჭვინტისა და გელათის წმ. გიორგის საბუთებში და აქვე დავბეჭდე დამატებაში. დამატებაშივე მოვაქციე გელათის წმ. გიორგის 1545 წლის სიგელი, რომელიც, როგორც შედარებიდან სჩანს, მთლოდ არის შეტანილი საკათალიკოზო დავთარში. აქედან ცხადად სჩანს, რომ დავთარის ზოგი შემადგენელი ნაწილი უფრო ადრინდელს დროს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში მე-XVI საუკუნის სივრცეზე შედგენილი.



# აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხ- ბის დიდი დაუთარი (ტექსტი)

წყლობითა: და: შეწევნითა: ღსათა: და შვდ: ცთა:  
უმადღესისა: ბიჭვნიტისა: ღთის: მშბლისათა: არის: საკზო:  
გმოსვლი მოსაკრებლობაჲ: ბარს (ეს წითურად) რაჭას (აწმიაზე)

მართებს სამთა ციხისლებსა 10 კოდი წა პური, ორი კოდი ქერი, 20 კასრი ღვწო, 2 თავი საკლავი და ექუსი სასტუმრო:.

მართებს კუბრეხადეებსა ექსი კოდი წა პური, 4 კოდი ქერი, 2 მთავნი საკლავი, 4 სასტუმრო, 10 ქათამი, 20 კუბრცხი, 20 კასრი ღვწო, მისი ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს გრძელიძეებსა ნასყიდასა 4 კოდი პური, 1 კოდი ქერი, 4 კასრი ღვწო და 3 კასრი ღვწო კიდევ სწა, სამი საკლავი, 3 ქათამი, 6 კუბრცხი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს მამუკასა გრძელიძესა სამი კოდი წა პური, ორი კოდი ქერი, 4 კასრი ღვწო, 3 საკლავი, სამი ქათამი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი, შვდი კუბრცხი.

მართებს ნავროზასა გრძელიძესა 3 კოდი წა პური, 2 კოდი ქერი, 3 საკლავი, 3 ქათამი, 4 კასრი ღვწო, შვდი კუბრცხი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს თლიასა ჩლაჩიძესა 4 კოდი პური, 2 კოდი ქერი, 3 საკლავი, სამი ქათამი, 4 კასრი ღვწო, შვდი კუბრცხი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს მიქელასა ჩლაჩიძესა 7 კოდი პური, 3 კოდი ქერი, ცამეტი კასრი ღვწო, 4 საკლავი, 6 ქათამი, ოცი კუბრცხი გოწრაულიანად, მისი ერბო, ხაჭო და მარილი:.

მართებს ნასყიდასა და მამუკასა ჩლოჩაძესა ორი კოდი პური, კოდ ნახევარი ქერი, ერთ ნახევარი საკლავი, ორი ქათამი, ოთხ ნახევარი კასრი ღვინო, ექსი კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო:.

მართებს ნინაშაურსა ბეჟიტასა გიორგობიანსა ოთხი კოდი წა პური, 1 კოდი ქერი, სამი საკლავი, 4 ქათამი, 10 კასრი ღვინო, 10 კუპრცხი, მისი ხაჭო, ერბო და სალორე მარილი:.

მართებს მიქელასა და მის ძმსა გონიერსა ოთხი კოდი პური, 1 კოდი ქერი, 10 კასრი ღვინო, 4 საკლავი, ოთხი ქათამი, 10 კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს ნინიასა და გოჩიასა გიორგობიანსა 3 კოდი წა პური, 1 კოდი ქერი, სამი საკლავი, 6 ქათამი, ექსი კასრი ღვინო, 5 კასრი ღვინო გოწრაულისა, 1 საკლავი, 1 ქათამი, კოდ ნახევარი წა პური, 12 კუპრცხი გოწრაულიანად, მისი ერბო, ხაჭო, სალორე მარილი:.

მართებს მგელას გიორგობიანსა 3 კოდი წა პური, 1 კოდი ქერი, 3 საკლავი, 6 ქათამი, 6 კასრი ღვინო, გოწრაულისა ნახევარი საკლავი, ერთი ქათამი, ორ ნახევარი კასრი ღვინო, თხუთმეული კუპრცხი გოწრაულიანად, მისი ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს მმაგლასშვილსა გიორგობიანსა 3 კოდი წა პური, 1 კოდი ქერი, 3 საკლავი, 6 ქათამი, 6 კასრი ღვინო, გოწრაულისა ნახევარი საკლავი, 1 ქათამი, ორ ნახევარი კასრი ღვინო, თხუთმეული კუპრცხი გოწრაულიანად, მისი ერბო, ხაჭო და სალორე მარილი:.

მართებს გუბლეზიანსა გის და თლიასა 7 კოდი იფქლი, სამი საკლავი, 4 ქათამი, 4 კუპრცხი, ექუსი კასრი ღვინო, მისი ერბო, ხაჭო და მარილი.

მართებს გამრეკელასშვილსა მიქელს და მის ერთს სახლსა 4 კოდი პური, 1 კოდი ქერი, 6 კასრი ღვინო, სამი საკლავი, 3 ქათამი, 20 კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი.

მართებს სლაძეთა მიქელასა და ხუცესსა გარეთ გარეთ ხუთთა კუამლთა კტაჲ 12 კოდი პური, თოთხმეტი კასრი ღვინო, 3 კოდი ქერი, ათი საკლავი, თხუთმეტი ქათამი, ოცდაშვიდი კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი:.

მართებს მაგრაქვლიძესა გოჩიასა და ბეჟიტასა 2 კოდი იფქლი, 1 ქერი, სამი საკლავი, 3 ქათამი, 3 კასრი ღვინო, 10 კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი.

მრთებს ფეტვადესა გრიგოლს 3 კოდი წა პური, 1 კოდი ქერი, 4 კასრი ღვწო, 2 საკლავი, 3 ქათამი, 10 კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი:.

მრთებს მამუკასა, ნიკოლაოზს და შოშიკასა ფეტვადესა 3 კოდი პური, 1 კოდი ქერი, 4 კასრი ღვწო, 2 საკლავი, 3 ქათამი, 10 კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი.

მართებს მკერვალისშვილებსა ნინიკასშვილს გარეთ 5 კოდი იფქლი, 2 კოდი ქერი, 5 საკლავი, 5 ქათამი, 12 კასრი ღვწო, თხუთმეტი კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი.

მართებს გოჩიტსა და ნასუტასა 3 კოდი პური, 2 საკლავი, ორი ქათამი, ორი კუპრცხი, მისი ერბო, ხაჭო და მარილი:.

არის პურის ჯუმალი ოთხმოცშვიდმეტი კოდი პური, ოცდათერთმეტი კოდი ქერი, ას სამოცდათხუთმეტი კასრი ღვწო, ოთხმოც და ერთი საკლავი, ოთხმოცდაჩვიდმეტი ქათამი, ორას ორმოცდაჩვიდმეტი კუპრცხი, კუამლის თვესა ერბო, ხაჭო და მარილი: თვთო ურემი თივია: თვთო ურემი შეშა: თვთო ქრთილ აქერექო: (sic) არის დამცხუარის პურის ჯუმალი ათას ორმოცდაათი: ამს გარეთად არის საგლეხო პარტახტი ივან ტბლაძის სეული ხიბრეუს ნიშანსა და საწირავშიდ მოცემული ამირეჯიბისგნ რაც იმ გლეხს ჰქონებია მისის ყოვლის ფერითა.

**ქ. არის: ჩხარს: სასახლე: ნებიეროული: მისითა: ეკლესია-  
თა: და: გამოსვლი: მოსაკრებლობა:**

მართებს სლთამა აბულაძის შვილებსა ოცი თეთრი, 24 კოკა ღვწო, 3 კოდი ქერი, რვა ქათამი, 20 კუპრცხი, 1 მენახევრე ღომი, სამი მარხილი თივია და ერთი მენახევრე პური, ტრთი და მუშაობა:.

ამ სამის კუამლის კაცის ბეგარაჲ ეს არის, ცალკენ ცალკენ გამოიღებენ:.

მართებს ნიკოლაძესა დემეტრას 16 კოკა ღვწო, 16 თეთრი, რვა ქათამი, 3 კოდი ქერი, 1 მენახევრე პური, 1 მენახევრე ღო-

მი, 1 მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს დემეტრას ყიფჩაყიძეს 12 კოკა ღვწო, 10 თეთრი, სამი კოდი ქერი, რვაჲ ქათამი, ოცი კუტრცხი, ერთი მენახევრე პური და ერთი მენახევრე ღომი, ერთი მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს ავჟანდაძესა ხაბასა 12 კოკა ღვწო, 16 თეთრი, 8 ქათამი, 3 კოდი ქერი, 1 მენახევრე პური და ერთი მენახევრე ღომი, 1 მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს გოჩიას ავჟანდაძეს 10 კოკა ღვწო, 12 თეთრი, 8 ქათამი, 3 კოდი ქერი, ერთი მენახევრე პური და 1 მენახევრე ღომი, 1 მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს ზაქარიას ავჟანდაძესა 10 კოკა ღვწო, 12 თეთრი, 5 ქათამი, 20 კუტრცხი, 3 კოდი ქერი, 1 მენახევრე პური და 1 მენახევრე ღომი, ერთი მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს ივანას ავჟანდაძესა თექსმეტი კოკა ღვწო, ოცი თეთრი, ოცი კუტრცხი, ერთი მარხილი თივაჲ, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს ქრისტეშისა ლივლივას შვლის პარტახტი 1, მეორე თლიაშვილის სეული პარტახტი, მესამე კოზიტას ლივლივას შვილისეული პარტახტი, მეოთხე სახეჩიძის სეული, მეხუთე ხაბლას ზაბუქიძის სეული, მეექვსე კოზილაჲ ზაბუქიძის სეული: ქათმის ჯუმალი არის ორმოცი, ღვწის ჯუმალი არის სამოცდათოთხმეტე, თეთრის სამოცდათოთხმეტე, ათი მენახევრე პური და ღომი, თხუთმეტე კოდი ქერი, რვაჲ მარხილი თივაჲ, ასი კუტრცხი: კუამლის თვისა თითო სასუქი ქათამი მართებს ჩხარელთაჲ:.

აქ მიწერილია მხედრულად, სხვა ხელით, ნიშნად იხმარება 2 წერტილი:

მართებს ოზუგულებს კვამლის თავს თითო საკლავა, ორთხი კოდი ღომი, ჯუმალთ ვუკლასა 10 მარწილის თეთრი, 100 კოკა ღვწო, თორმეტი ლიტრა მარდი

ქ არის: ნავენახევს: სასახლე: და: გამოსვლი: მოსაკრებ-  
ლობაჲ:.

მართებს შშის თლასაჲ ზაქარიას ხაჭუბერიძესა 20 თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 გოდორი ღომი, 6 გოდორი ღომი, კიდევ

დავსდევით შეგიალნა ბატონმნ მუშაობაჲ, მისთს თითო კოდი პური, თითო კოდი ქერი, იორორი ქათამი, თითო ძღუპნი და ქათამი:

მართებს მამუკას ხაჭუბერაძესა ოცი თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 წონა ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, 2 ქათამი, ძღუპნი და ძღუპნთან 1 ქათამი, მუშაობაჲ:

მართებს მამიზბედას ხაჭუბერაძეს ოცი თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 წონა ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, 2 ქათამი და ძღუპნი და ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს ნინიას ხაჭუბერაძეს ოცი თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 წონა ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, 2 ქათამი, ძღუპნი და ძღუპნთან ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს ნინიას ხაჭუბერაძეს 20 თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 წონა ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, 2 ქათამი, ძღუპნი და ძღუპნთან ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს მახატას ხაჭუბერაძეს 10 თეთრი, 12 კოკა ღვწო, ექსი საწონი ღომი, 2 ქათამი, ძღუპნი და ძღუპნთან ქათამი, 1 კოდი პური და 1 ქერი, მუშაობაჲ:

მართებს დთიკას შვილს \*) ხაჭუბერაძეს 10 თეთრი, 6 საწონი ღომი, 12 კოკა ღვწო, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღუპნი და სამი ქათამი, მუშაობაჲ:

მართებს ცოტნიას შვილსა გოჩიასა ბაზაძესა 13 თეთრი, 16 კოკა ღვწო, 8 საწონი ღომი, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღუპნი და 3 ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს ბაზაძესა გოჩიასა 10 თეთრი, 12 კოკა ღვწო, 6 საწონი ღომი, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღუპნი, 3 ქათამი, მუშაობაჲ:

მართებს მახარობლს ბაზაძესა 20 თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 საწონი ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, ძღუპნიანთ 3 ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს ხუატიას ბაზაძესა ოცი თეთრი, 24 კოკა ღვწო, 12 საწონი ღომი, 2 კოდი პური, ორი ქერი, ძღუპნი და 3 ქათამი და მუშაობაჲ:

მართებს გოჩიას ბაზაძეს 10 თეთრი, 12 კოკა ღვწო, 6 სა-

---

\*) ლეღანში სწერას: შვიცს





წონი ღომი, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღუნიანათ სამი ქათამი და მუშაობაა:.

მართებს ზოსიას ბრეგაძესა 20 თეთრი, 24 კოკა ღვინო, 12 საწონი ღომი, 2 კოდი პური და 2 ქერი, ძღუნი, 3 ქათამი და მუშაობაა:.

მართებს გოჩას სლაძესა 10 თეთრი, 12 კოკა ღვინო, 6 საწონი ღომი, 1 კოდი პური, 1 ქერი, ძღუნი, სამი ქათამი, მუშაობაა:.

მართებს როსტევენასა სლაძესა 10 თეთრი, ექსი საწონი ღომი, 12 კოკა ღვინო, 1 კოდი პური, 1 ქერი ძღუნი, სამი ქათამი და მუშაობაა:.

მართებს სლა ყლას ნავენახველს ტვრთი, თეთრის ჯუმალი არის ორას და ჩვდმეტი, ღომის ჯუმალი არის ას ოცდაათოთხმეტი წონაა: ქათმის ჯუმალი არის ორმოცდახუთი: ქერის ჯუმალი არის კოდი 21, ისრე პური არის 21, ღვინის ჯუმალი არის 257 კოკა ღვინო არის.

**არის: საგენათლოს: გამოსვლი: მოსაკრებლობაა: ბუეთს:**

მართებს ბუეთს ბრეგაძესა 12 თეთრი, 3 კოდი ღომი, 6 დორა ღვინო:.

მართებს კთილასა ბრეგაძესა 12 თეთრი, 6 დორა ღვინო, სამი კოდი ღომი:.

მართებს მმისას სეულსა 12 თეთრი პარტახტსა, სამი კოდი ღომი, ექსი დორა ღვინო:.

მართებს გოგიჩას ბრეგაძესა 12 თეთრი, 6 დორა ღვინო, სამი კოდი ღომი:.

მართებს ბეჟანს ბრეგაძეს 12 თეთრი, ექუსი დორა ღვინო, სამი კოდი ღომი:.

მართებს მახრობლს ბრეგაძეს 7 თეთრი, სამი დორა ღვინო, ორი კოდი ღომი:.

მართებს ნასყიდასა ბრეგაძესა 10 თეთრი, ხუთი დორა ღვინო, ორი კოდი ღომი:.

მართებს გოჩიას ბრეგაძესა 5 თეთრი, ორი დორაა ღვწო, 1 კოდი ღომი:.

მართებს მისრიასა ბრეგაძესა 10 თეთრი, 3 კოდი ღომი, 1 დორაა ღვწო:.

მართებს ივანასა დევიძესა 10 თეთრი, 1 კოდი ღომი, სამი დორაა ღვწო:.

მართებს მსტას იბრაძესა 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, 1 კოდი ღომი, ერთი ქათამი, ორი ძღუწნი.

მართებს მათლასა ვირისელაძესა 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, ერთი კოდი ღომი, ორი ძღუწნი, ერთი ქათამი.

მართებს ნასყიდას ვირისელაძესა 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, 1 კოდი ღომი, ორი ძღუწნი, 1 ქათამი

მართებს ზაქარიას ვირისელაძესა 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, 1 კოდი ღომი, 2 ძღუწნი, 1 ქათამი

მართებს კოზოლასა მახრასა 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, ორი ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს ინანას ქალანგრიძესა 6 თეთრი, 6 კოკა ღვწო, 2 ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი

მართებს გიორგას კოველაძესა 6 თეთრი, სამი კოკა ღვწო, 2 ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი

მართებს მიქელას ქალანგრიძესა 6 თეთრი, სამი კოკა ღვწო, ორი ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი

მართებს ვარსიმეს უყურეშლიძესა 11 თეთრი, 5 კოკა ღვწო, ორი ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს ნაცვლის მამრიკისშვილსა 20 თეთრი, 20 კოკა ღვწო, 1 კოდი ღომი, ცხენით სამსახური

მართებს გრიგოლას მამრიკისშვილსა 20 თეთრი, 1 კოდი ღომი

მართებს ხახუტასა სამი თეთრი, სამი კოკა ღვწო, 2 ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი, მუშაობაა:.

მართებს დემეტრისშვილსა გოჩას 6 თეთრი, 4 კოკა ღვწო, ორი ძღუწნი, 1 ნაოთხალი ღომი, მუშაობაა

მართებს შოშიას ქათამაძესა 13 თეთრი, 7 კოკა ღვწო, ორი კოდი ღომი, 4 ქათამი, ორი ძღუწნი, მუშაობაა:.

მართებს გოჩასა ფუცხქანიძესა 13 თეთრი, 7 კოკა ღვწო, 2 კოდი ღომი, 4 ქათამი, ორი ძღუწნი, მუშაობაა:.

მართებს გოგიჩას კებალეს 17 თეთრი, 7 კოკა ღვწო, 4 ქათამი, ორი ძღუწნი, მუწაობაჲ:.

მართებს ნასხიდას ფუცხქანიძესა 15 თეთრი, 9 კოკა ღვწო, ორი კოდი ღომი, 4 ქათამი, 2 ძღუწნი, მუწაობაჲ:.

მართებს ნასხიდას ფუცხქანიძეს 6 თეთრი, 1 კოდი ღომი, 4 კოკა ღვწო, 4 ქათამი, 2 ძღუწნი, მუწაობაჲ:.

მართებს გწის ფუცხქანიძეს 11 თეთრი, 7 კოკა ღვწო, სამი ნაოთხალი ღომი, 4 ქათამი, 2 ძღუწნი, მუწაობაჲ:.

მართებს ოქრობირას სილაკაძეს 10 თეთრი, 10 კოკა ღვწო, 1 კოდი ღომი, სამსახური

თეთრის ჯუმალი არის სამსდათერთმეტი, ღომის ჯუმალი არის 41 კოდი: ღვწის ჯუმალი არის 150 კოკა ღვწო: ქათმის ჯუმალი არი 23:.

### არის: საჩხეურის: გამოსვლი: მოსაკრებლობაჲ:

მართებს ხურციძესა ივანასა 7 დორაჲ ღვწო, ღომი სახარაჯო, ოროლი საკლავი შუდ შუდის თეთრისა, ორი ქათამი, რიგის პური:.

მართებს ძნლაძესა მმისუვილასა და გიორგასა და ვაჟობასა სამთვე 12 დორაჲ ღვწო, სამი საკლავი თხუთმეტი თხუთმეტის თეთრისა და ერთი ხუთისა, 3 ქათამი, 100 კუწრცხი, მისი რიგის პური

მართებს იგდარასა ძნლაძესა 5 დორაჲ ღვწო, 5 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი, ერთი 15 თეთრისა და 1 ხუთისა, 1 ქათამი, მისი რიგის პური

მართებს კიბაბიძესა და მის ძმისულსა 12 დორაჲ ღვწო, 10 სახარაჯო ღომი, სამი საკლავი ათ ათის თეთრისა, 1 ქათამი, 30 კუწრცხი, მისი რიგის პური

მართებს საკუთარიძესა ნასხიდასა 8 დორაჲ ღვწო, 6 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი ათ ათის თეთრისა, 1 ქათამი, 30 კუწრცხი, მისი რიგის პური

მართებს ჩოჩივაძესა 6 ღორაჲ ღვწო, 6 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი ექს ექსის თეთრისა, 2 ქათამი, მისი რიგის პური:.

მართებს ლაქაფიძესა ივანასა 6 ღორაჲ ღვწო, 6 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი ათ ათის თეთრისა, მისი გოჭ ქათამი, 30 კუტრცხი, მისი რიგის პური:.

მართებს კანჭაძესა ორთა განაყოფთა 10 ღორაჲ ღვწო, 10 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი თორმეტ თორმეტის თეთრისა, სამსამი თეთრისა საბატკობო, 4 ქათამი, 60 კუტრცხი, მისი რიგის პური:.

მართებს კიდევ ორთა განაყოფთა კანჭაძეთა 10 ღორაჲ ღვწო, 10 სახარაჯო ღომი, 2 საკლავი თორმეტ თორმეტის თეთრისა, სამ სამის თეთრის საბატკობო, ოცდაათ ოცდაათი კუტრცხი, ორი ქათამი და რიგის პური: . ორ ორი საკლავი, ორ ორი ქათამი, თითო გოჭი, მისი ღომი და ღვწო, ერთს საპურობოს რაც მოუწდების მრწლი ნიორი და ჟინჯილი:.

არის ჯუმალი ღვწისა სამოცდაშვიდი ღორაჲ, არის 54 სახარაჯო ღომი, არის საკლავი 20, არის 20 ქათამი, კუტრცხის ჯუმალი არის 330:.

**არის: ჯიმაშტაროს: გმოსვლი: მოსაკრებლობა:.**

მართებს მახრობლს ზურაბაის შვილსა ოცდაათი კოკა ღვწო, 10 თეთრი.

მართებს მახრობელსა კისკვიძეს 40 კოკა ღვწო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, სამ სამი ქათამი, 1 ძღუტნის ქათამი, ორის დღის მუშაობაჲ, ტვრთი და მგზავრობაჲ:.

მართებს გიორგას მშაშვასშვილსა 40 კოკა ღვწო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, 4 ქათამი, ორის დღის მუშაობაჲ, ტვრთი და მგზავრობაჲ:.

მართებს მმისტლს მშაშვასშვილსა 40 კოკა ღვწო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, 4 ქათამი, ტვრთი და მუშაობაჲ:.

მართებს გოჩას ტოფაძეს 40 კოკა ღვწო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, 4 ქათამი, ტვრთი და ორის დღის მუშაობაჲ:.

მართებს თევდორას ჩოგავაძეს 40 კოკა ღვინო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, 4 ქათამი, მუშაობაჲ ორის დღისა და ტვრთი:.

მართებს ივანას ბოგვერაძესა ფრედულის ალაგითა 40 კოკა ღვინო, 40 ჯამი ღომი, 10 თეთრი, 4 ქათამი, ორის დღის მუშაობაჲ, ტვრთი და მგზავრობაჲ:.

არის 4 პარტახტი, 1 გლეხი ლალიძესა აქს: . ჯანგავაძე: . ღვინის ჯუმალი არის 230 კოკაჲ: . 200 ჯამი ღომი, თეთრის ჯუმალი არის სამოცი, არის 20 ქათამი, ათ ათი კუპრცხი მრთებს, ჯუმალად 60 არის კუპრცხი: .

**არის: სოფიაჲ: წახ: სასახლე: და: სამოქლქს: ბაკისუბანს: .**

მართებს დემეტრე გიორგაძეს 10 თეთრი, 30 კოკა ღვინო: .

მართებს მის განაყოფს გიორგას 30 კოკა ღვინო, 10 თეთრი, ორსვე თითო ურემი ღომი: .

მართებს გოგიჩას გიორგაძეს, 1 ურემი ღომი, 10 თეთრი, 30 კოკა ღვინო: .

მართებს მის განაყოფს მმისთლსა და სიხრლასა 10 თეთრი, 30 კოკა ღვინო და  $1/2$  ურემი ღომი: .

მართებს მესხეც: . ჯუმალი არის ღვინისა ას ოცი კოკა, 40 თეთრი, 4 ურემი ღომი: .

**არის ფარცმანაყანევს გმოსვლი: .**

მართებს გოგიჩასშვილებს 40 კოკა ღვინო, 2 თეთრი.

მართებს დათვიას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვინო, 2 თეთრი.

მართებს ჩიტეას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვინო, 2 თეთრი.

მართებს ნანუას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვინო, 2 თეთრი.

მართებს ღმერციას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვინო, 2 თეთრი.

მართებს გუგუტას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვნო, 2 თეთრი.

მართებს ხატის ბეგარაჲ ჟოჟასა ანდრიაძესა 20 კოკა ღვნო, 10 თეთრი.

მართებს ზაქარიასა კუჭუხიძესა 20 კოკა ღვნო, 10 თეთრი, სამაჰრობო საკლავი 1, ქათამი 2, კოკაჲ ღვნო 3, ორი ნაოთხალი ღომი:.

მართებს მეორეს ზაქარიას კუჭუხიძესა 30 კოკა ღვნო, 10 თეთრი, სამაჰრობო საკლავი, 1, ქათამი 1, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს იწეს კუჭუხიძესა 10 კოკა ღვნო, 5 თეთრი, სამარხო თეთრი 2, ქათამი 1, ღომი ერთი ნაოთხალი:.

მართებს ხახუტასა კუჭუხიძესა 10 კოკა ღვნო, 5 თეთრი, სამარხო თეთრი 2, 1 ქათამი, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს წყალობასა კუჭუხიძესა 5 კოკა ღვნო, 3 თეთრი, 1 ქათამი, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს მახუასა კუჭუხიძესა 5 კოკა ღვნო, 3 თეთრი, 1 ქათამი, 1 ნაოთხალი ღომი:.

სამი პარტახტი არის:.  
მართებს დედულისას მრდალასშვილსა 40 კოკა ღვნო, ორი თეთრი:.

მართებს მესხეც სიხრლასა ღანდურიძეს 10 თეთრი, 30 კოკა ღვნო, 2 ნაოთხალი ღომი:.

მართებს ნასხიდას ღანდურიძეს 10 თეთრი, 30 კოკა ღვნო, ორი ნაოთხალი ღომი:.

მართებს მმისთლასა ღანდურიძესა 5 თეთრი, 1 ნაოთხალი ღომი, 15 კოკა ღვნო:.

მართებს გოგიას ღანდურიძე(ს) 5 თეთრი, 1 ნაოთხალი ღომი, 15 კოკა ღვნო:.

მართებს დ'თ ღანდურიძის შვილებს თხუთმეტი კოკა ღვნო, სამი თეთრი, 1 ნაოთხალი ღომი:.

მართებს რომნოზს ღანდურიძეს თხუთმეტი კოკა ღვნო, 5 თეთრი, 1 ნაოთხალი ღომი:.

არის ღვნის ჯუმალი 120 კოკაჲ: ორი გუტრდი ღომი: 40 თეთრი.

**არის: მანთხოვს: სასახლე: და გამოსავლი: მრთებლი: მოსაკ-  
რებლობაა:.**

მართებს ბარაბაძეს სანდელას 1 ურემი ღომი, 6 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, სამის თეთრის საბატკობო, ერთის თეთრის საყუბლიერო, ერთის თეთრის საყაჭობო, საპურობო სამი ნაოთხალი ცეხული ღომი, საბაზიარო სამი ქათამი, 1 ურემი თივაა, სამეჯინიბო 1 ნაოთხალი ღომი, 1 კალათი მჭადი, 1 ქათამი, 1 კოკა ღვწო, ბარგის ზიდვაა:.

მართებს ღთისავარას ბარაბაძეს 1 ურემი ღომი, 3 ნაოთხალი ცეხვილი ღომი, შვდი მრთელი ღვწო, ორი საკლავი, სამის თეთრისა საბატკობო, ერთის თეთრის საყველიერო, ერთის თეთრის საყაჭობო, საპურო სამი ქათამი, საბაზიარო 1 ურემი თივაა, სამეჯინიბო ერთი ნაოთხალი ღომი, 1 კალათი მჭადი, 1 ქათამი, ერთი კოკა ღვწო:.

მართებს ნიკოლაოზს ბარაბაძეს 1 ურემი ღომი, 10 მრთელი ღვწო, ცეხული ღომი 3 ნაოთხალი, ორი საკლავი, საპურობო:.

მართებს მახრებლს ბარაბაძეს 1 ურემი ღომი, 6 მთელი ღვწო, სამი მრთელი

მართებს პარტახტსა 2 საკლავი, ცეხვილი 3 ნაოთხალი ღომი საპურობო:.

მართებს გოგიჩას ბარაბაძეს 1 ურემი ღომი, 4 მრთელი ღვწო, ორი საკლავი, საპურობო 3 ნაოთხალი ცეხული ღომი, ნადობაა:.

გიორგას ბარაბაძეს მართებს ურემი ღომი, 6 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, საპურობო ცეხვილი 3 ნაოთხალი:.

მართებს ნასყიდას ბარაბაძესა ურემი ღომი, 10 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, საპურობო ცეხული ღომი 6 ნაოთხალი, ნადობაა:.

მართებს გვტია ბარაბაძეს ურემი ღომი, 5 მთელი ღვწო, საპურობო ღორი და მთელი და ნახევარი ღვწო და ერთი საკლავი, ნაოთხალ ნახევარი ცეხული ღომი, ორი ნაოთხალი საპურობოსი ცეხული ღომი, მგზავრობა და წიგნის ზიდვაა:.

მართებს ბარაბაძეს ბიბიას ურემი ღომი, 10 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, 3 ნაოთხალი ღომი ცეხვილი საპურობო:.

მართებს მუშიას ფიცხელაურს მართებს ურემი ღომი, ცხრაა

მრთელი ღვწო, ორი საკლავი, საპურობო ცეხელი სამი ნაოთხალი ღომი, ბარგის ზიდვაა: . \*)

მართებს უმცროსას ჩიმაგაძეს ურემი ღომი, შვიდი მრთელი ღვწო, ორი საკლავი, საპურობო ცეხელი 3 კოდი, ბარგი(ს) ზიდვაა: .

სკომონას მართებს ურემი ღომი, ექსი მრთელი ღვწო, ორი საკლავი, საპურობო ცეხელი ღომი მრთებს სამი კოდი: .

თამამას მართებს ურემი ღომი, \*\*) ღვწო ორი მრთელი, 1 საკლავი, საპურობო ცეხელი ღომი ორი კოდი, \*\*) მგზავრობაა: .

მართებს ყატისა ღვწოძეს ურემი ღომი, ორი საკლავი საპურობო, ღვწო შვიდი მრთელი, ცეხელი სამი ნაოთხალი, საბატკობო სამი თეთრი, საყაჭობო 1 თეთრი, საყვლიერო 1 თეთრი, სამეჯინიბო ნაოთხალი ერთი ღომი, ერთი კოკა ღვწო, 1 ქათამი, 1 კალათი ღომი, 1 ურემი თივაა, ცეხელი ღომი 3 ნაოთხალი: .

იმედისას ღვწოძეს მრთებს ურემი ღომი, შვიდი მრთელი ღვწო, 2 საკლავი, 1 საპურობო, საბატკობო 3 თეთრი, 1 თეთრი საყვლიერო, 1 თეთრი საყაჭობო, სამეჯინიბო ნაოთხალი 1 ღომი, ერთი კოკა ღვწო, ერთი ქათამი, 1 კალათი მჭადი, 1 ურემი თივაა, ცეხელი ღომი სამი ნაოთხალი, მგზავრობაა: . \*\*\*)

მამუნას ვაჭარაძეს მრთებს ურემი ღომი, ღვწო 7 მრთელი, სამი საკლავი, საპურობო ცეხელი ღომი სამი ნაოთხალი, ბარგის ზიდვაა: .

მამისბედას კაისარიძეს მართებს ურემი ღომი, ორი საკლავი,

\*) ამის ზირდაზირ აწმიაზე ხუხსა ხუფ. სხვა ხელათ: შუშუა ფიცხელავას და მის შვილებს საკლავი ემართა, ახლა ის ამომიკვეთია და ხადილი დამიც ულმა ჩმა შემდგომმა კზბმა ასე დაუმტკიცეთ.

\*\*) წამდილია

\*\*\*) ქვემო აწმიაზე წვრიადად სხვა ხელათ: მრთებს წულუკიძის ნაყმევს კაცს ბარაბაძეს ორს განაყოფენს. ხადილის მაგიერად თითოს ორორი შამახური სნთელი, ხუთ ხუთი მთელი ღვწო, თითო კარგი საკლავი, თითო ქათამი, ხუთ ხუთი ფონხალი ღომი დათილასა და ნასყიდასა.

სხვა მუღნით აქვე: მართებს ივანიძეს მამისთვალს ურემი ღომი ერთი, კოკა ღვწო ხუთი, შამახური სამთელი ერთი და მეჯინიბობა.

ორი ბეჭედი წარწერთ: გრიგოლ კწი.



7 მრთელი ღვწო, ცეხელი ღომი 3 ნაოთხალი საპურობო, ბარგის ზიდვაა:.

ანანას მელაძისეული მმული აქს, მელაძეს ნასყიდას მრთებს ურემი ღომი, 7 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, საპურობო ცეხელი ღომი 6 ნაოთხალი, საბატკობო 3 თეთრი, საყაქობო 1 თეთრი, 1 თეთრი საყელიერო, 3 საბაზიარო 3 (SIC) თეთრი, სამეჯინიბო 1 ნაოთხალი ღომი, 1 ქათამი, 1 კოკა ღვწო, 1 ურემი თივაა, 1 კალათი მჭადი, ბარგის ზიდვაა:.

ივანას მელაძეს მრთებს ურემი ღომი, 7 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, საპურობო ცეხელი ღომი 5 ნაოთხალი, 3 თეთრი საბატკობო, 1 თეთრი საყაქობო, 1 თეთრი საყელიერო, 3 ქათამი საბაზიარო, სამეჯინიბო 1 ნაოთხალი ღომი, 1 კალათი მჭადი, 1 ქათამი, 1 კოკაა ღვწო, 1 ურემი თივაა, ბარგის ზიდვაა:.

ხახუტას მელაძეს მრთებს ურემი ღომი, 10 მრთელი ღვწო, 2 საკლავი, საპურობო საპურობო (აქ წაშლიდაა 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> სტრაქი.) ცეხელი ღომი, 6 ნაოთხალი (წაშლიდაა 3 სტრაქი.), ბარგის ზიდვაა: \*)

მრთებს გოგიჩას ხუროძეს ურემი ღომი, 3 მთელი ღვწო, 1 საკლავი, ცეხელი ღომი 1 ნაოთხალი საპურობო.

გუგუტას ხუროძეს მრთებს ურემი ღომი, 2 მთელი ღვწო, 1 საკლავი, საპურობო 1 ნაოთხალი ცეხელი ღომი:.

შიოშ ხუროძეს მრთებს ურემი ღომი, 4 მთელი ღვწო, 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> საკლავი, 2 კოდი ღომი, ნაოთხალი ცეხელი 1 საპურობო

მრთებს მაუშიას ხუროძეს ურემი ღომი, 2 მთელი ღვწო, პარტახტისა 2 მრთელი ღვწო, საკლავი 1, ნახევარი საკლავი სამ-მულო, საპურობო ცეხელი ღომი 1 ნაოთხალი.

გიორგას ხუროძეს მრთებს ურემი ღომი, ღვწო 7 მრთელი, 2 საკლავი, საპურობო 3 ნაოთხალი ცეხელი ღომი, ბარგის ზიდვაა:.

ხუროძეს ყლას მგზავრობაა:.

მრთებს უმცროსას დოქტრსა ურემი ღომი, ღვწოა რვაა მრთელი, საკლავი 2, საპურობო 3 ნაოთხალი ცეხელი ღომი, ბარგის ზიდვაა:.

\*) აქ განზე აწმიაზე სხვა ხელოთ: ქ:.. ჩნ კზნ ბტნმ ღთ ჩნი ბეგარა მოვიკითხეთ და წამოდგენ მელაძენი და ასე დეიფიცეს ბიჭვინტისა ღის მშობლზდ და სმსკვლზდ რომ რიც მოშლილი არის ეს გურიელმზ კზმზ აიოგვწერაო და ჩნი ბრალი არ არის და ჩნ დევეთხოვეთ მს უკან:.

მრთებს ადამიას მმისთანასა ურემი ღომი, ღვნო 8 მრთელი, ორი საკლავი, საპურობო ვ ნაოთხალი ცეხვილი ღომი, მგზავრობაჲ: \*) გუგუტას დოჭკრს მრთებს ურემი ღომი, ღვნო შვიდი მრთელი, საკლავი 3, საპურობო ცეხვილი ღომი 3 ნაოთხალი, ბარვის ზიდვაჲ:.

ნასყიდას დოჭკრს მრთებს ურემი ღომი, ღვნო შვიდი მრთელი, სამი საკლავი, საპურობო ცეხვილი ღომი 3 ნაოთხალი, ბარვის ზიდვაჲ:.

გწი ხუროდეს ხუცეს მართებს ურემი ღომი, საპურობო, მგზავრობაჲ.

ცხვილი ღომის ჯუმალი ასოცდათუთხმეტი ნაოთხალი:.

**არის: ხონის: გმოსვლი: მოსაკრებლობაჲ: მართებლი:**

მართებს გწის მაქარაძესა 7 მთელი ღვნო, ურმოული ღომი, 10 თეთრი, 2 თეთრი სათევზებო, 1 ხეში, 1 სასუქი ქათამი:.

მართებს დედულისას ცოტაძესა 14 მთელი ღვნო, ურმოული ღომი, 10 თეთრი, 2 თეთრი სათევზებო, 1 ხეში, 1 სასუქი ქათამი:.

მართებს გიორგას მაქარაძეს 4 მთელი ღვნო, ურმის  $\frac{1}{2}$  ღომი, ათის თეთრის საკლავი, ერთის ბიშტის ყვლი, 1 სასუქი ქათამი:.

მართებს ვაბრიელას ქაზნაძეს 20 მთელი ღვნო, 1 ურემი ღომი, ათის თეთრის საკლავი, ორის თეთრის თევზი, 1 ხეში, 1 სასუქი ქათამი:.

მართებს ნასყიდას ტაბიძეს 9 მთელი ღვნო, 1 ურემი ღომი, ათის თეთრის საკლავი, ორის თეთრის თევზი, 1 ხეში, 1 ქათამი:.

მართებს ათანასეს ტაბიძეს 5 მთელი ღვნო, ათის თეთრის საკლავი, ორის თეთრის თევზი, 1 ხეში, 1 სასუქი ქათამი:.

მართებს დედულისა ტოხვის შვილს 10 მთელი ღვნო, ურემი ღომი, ათის თეთრის საკლავი, ორის თეთრის სათევზობო, 1 ხეში, 1 ქათამი:.

\*) აქ აწმიაზე ქვემოთ სხვა ხელით: მრთებს კონტოეთს რუხვადეს ბიჭიელსა გუგუტას 1 შამახური სამთელი, ათი ცალი ღვნო, თვრამეთი კვახი ღომი. ბეჭედი წარწერით: გრიგოლ კწი.

მართებს ნასყიდას კაკაბაძეს 12 მთელი ღვინო, 1 ურემი ღომი, 10 თეთრი, ორის თეთრის თევზი, 1 ხეში, 1 ქათამი:.

მართებს მმასლას კაკაბაძეს 10 მთელი ღვინო, 10 თეთრი, ორი თეთრის თევზი, 1 ხეში, 1 სასუქი ქათამი:.

ურემი ღომი, თითო კოდი ღომი ყლას მართებს: . ჯუმალი 90 მთელი ღვინო: . თეთრის ჯუმალი 290: . 7 ურემი და  $\frac{1}{2}$  ღომი: . 9 სასუქი ქათამი. არის კუხელოური პარტახტი: . არის ვაჭაროული პარტახტი: . არის იანვარეი კაკაბაძის სეული პარტახტი: . არის ძამიოური პარტახტი: . არის სარიდოული პარტახტი: . (ა)რის წიმწიფური პარტახტი: . რაც ამ კცებს მართებს ისე ამ კცების პარტახტსა მართებია მგრაჲ კცი არ არის: . ბახუა წივწივაძე მთვარებიკაზსა ჰყეს: .

არის: ჯიქთუბანს: სასახლე: და: მრთებლი: გამოსვლი: მოსაკრებლობა: .

მრთებს მმაგლას კოპალაისშვილს 2 საკლავი, 20 კოკა ღვინო, 1 ურემი ღომი, მგზავრობა: .

მართებს ოდანას ივანიას კოპალაისშვილს 2 საკლავი, 20 კოკა ღვინო, 1 ურემი ღომი, მგზავრობა, პტრნის სამსახური: .

მართებს ზაქარიას კოპალაისშვილს 2 საკლავი, 20 კოკა ღვინო, ერთი ურემი ღომი, მგზავრობა: .

მართებს ნასყიდას ქუარქუალიძეს ერთი ურემი ღომი, ორი საკლავი, 20 კოკა ღვინო: .

**არის ჭანგას: .**

მრთებს მმაცას და მმისტლას რუხვაძეს 20 კოკა ღვინო, 2 საკლავი, 1 ურემი ღომი, მგზავრობა: .

მრთებს გოგიჩას რუხუაძეს ორი საკლავი, ოცი კოკა ღვინო, და ერთი ურემი ღომი, მგზავრობა: .

მრთებს სვმონას რუხუაძეს ორი საკლავი, ერთი ურემი ღომი, ოცი კოკა ღვინო, მგზავრობა: .

არის ქოცნათს საღობი: კოპალეის შვილის ალაგი ნაქრთა-  
მევი პარტახტი მრთელი ორი საკლავი, 20 კოკა ღვწო, 1 ურემი  
ღობი:

ჯუმალი არის ღვწის 80 კოკა, რვა ურემი ღობი, 14 საკ-  
ლავი, 80 კიდევ სწა კოკა ღვწო, სწლაჲ ყწლაჲ ღვწო ას სა-  
მოცი არის: არის თლიას რაზმაძის სეული პარტახტი, მეორე  
ხუტუაი გოგინაძის სეული პარტახტი, ორი პარტახტი არის:

არის: ნაგუაზაუს: სასახლე: და: გმოსვლი მრთებლი:  
მოსაკრებლობაა:

მრთებს ნარსიას გოჭკუმური და ორი საკლავი მისის ქათმი-  
თა, 3 მახათელი ღობი, 7 გუდა ღვწო, თვი ბეგარაჲ ცამეტი  
კოკა ღვწო, 12 კოდი ღობი, ორი საკლავი:

მრთებს კიდევ სოფრონიას გოჭკუმური, 2 საკლავი მისის  
ქათმითა, 3 მახათელი ღობი, 7 გუდა ღვწო, ბეგარაჲ 13 კოკა  
ღვწო, 12 კოდი ღობი, 2 საკლავი, მისი კუტრცხი, ყვლი, თევზი:

მრთებს ბაჩილას გოჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა, 3  
მახათელი ღობი, 7 გუდა ღვწო, ბეგარაჲ ცამეტი კოკა ღვწო, 12  
კოდი ღობი, ორი საკლავი.

მრთებს სურმას გუჭკუმური, ორი საკლავი მისის ქათმითა,  
3 მახათელა ღობი, 7 გუდა ღვწო, ბეგარაჲ 13 კოკა ღვწო, 12  
კოდი ღობი, 2 საკლავი.


მრთებს წყალბიას გუჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა,  
3 მახათელა ღობი, 7 გუდა ღვწო, ბეგარაჲ 13 კოკა ღვწო, 12  
კოდი ღობი, 2 საკლავი, მისი თევზი, ყვლი, კუტრცხი, მრილი.

მრთებს ჯავნაშის გუჭკუმური, 2 საკლავი მისის ქათმითა, 3  
მახათელა ღობი, 7 გუდა ღვწო, ბეგარაჲ 13 კოკა ღვწო, 12  
კოდი ღობი, 2 საკლავი

ასრე მეორეს გნაყოფს ჯავნაშის მრთებს:

მრთებს პაპაკუდას 8 კოკა ღვწო, ოთხი საკლავი მისის სა-  
პურობოიანათ, ყწლას ყვლითა, კუტრცხითა, მრილითა.

თივის თიბვაჲ მრთებს და მუშაობაჲ ყწლას, ხმელი ბეგარაჲ  
თითო ხეში ყწლას მართებს, პაპაკუდას მეტს ყლას მრთებს ღობ-



ქრობაა: . საკლავის ჯუმალი არის 35 კოდი ღომი, ღვწო 49 გუდაა: . ჯუმალი ღვწისა ბეგარაა 99 კოდი ღომი 84 არის: . (sic) პაპაზარქუასძეს ბეგრად თავად ზროხაა, იმსთან ერთი საკლავი, 1 ძარა ამოკირული კაკალი ღომი, 1 ქათამი, მისი პური, მისის სამრხოთა, იმსთან ცამეტი კოკა ღვწო იმ კ'ცსა მრთებს, გოჭკუმური, 2 ღორი, იმსთან 1 დიდი ძარა კაკალი ღომი, ცხრაა ტიკი ღვწო, იმსთან 1 ქათამი, მისი პური და სამრხოთა ღვწისა და მზარეულისა 1 თოხი უწერიაა: .

მეორე მოსახლე კ'ცსა მახრობლს ნაჭყეობის მრთებს ბეგარად 1 ზროხა, 1 ღორი, 1 ამოკერლი ძარა ღომი, 6 კოკა ღვწო, 1 ქათამი, მისი პური და მისი სამრხო, კიდევ გოჭკუმური მრთებს 2 ღორი, 1 დიდი ძარა ღომი, 1 ქათამი, მისი პური, მისი სამრხო, ცხრაა გუდა ღვწო, მზარაულსა და მეღვწეს 1 თოხი უწერიაა: .

ახლა ბატონმნ ლიპარტაქანმნ და ბატონმნ კ'ზმნ დავსდევით ნაგვაზაურებსა რაც კცი სახლობს კუამლის თვსა თითოს კ'ცსა ათ ათი კოდი ღომი, ექს ექსი კოკა ღვწო, 3'დ რომე ბეგარაა ემრთა იმს გრეთ ეს სახასო იქნების; აწე ამისი მწმე არის ხახუტაი ბაიმბურიაა, ივანე რატიანი, იმრიდონ გუაზაა: . არის სენაკს შაფათააა, მრთებს (მეტი არ სწერია)

**არის: საქუჩულორიოს: . სახახლე: . (კ')ზის გურიელის: .  
შვილის: მალაქიას: . შეწირლი: .**

მართებს ნაქუჩულორიუს (sic) კ'ცებსა თ'ვი ბეგარაა: .

მრთებს ბუბუტიას ჭიიას 1 საკლავი, 1 ქათამი, 9 ლიჯის ღომი, 12 ფოხალი ღვწო, გოჭკუმურისა 2 საკლავი, 2 ქათამი, მისი ღომი და ღვწო, პური, თევზი, ყვლი, კუპრცხი, მრილი, რაც სხას საკზოს კ'ცს მრთებს, იმ რიგად მოიტანდეს, საყანოთ მრთებს ოცი კენჭე (sic) ყვლი, მისი ღომი და ღვწო: .

მრთებს ბეზიას ოფიშხუას თ'ვი ბეგარაა ერთი საკლავი, 1 ქათამი, 7 ლიჯის ღომი ერთს წელიწადსა, მეორეს რვაა, შვდი ფოხალი ღვწო, გოჭკუმური როგორაც ამ ჭიიას მრთებს, იმ რიგი, საყანეთ მრთებს ოცი კენჭი ყვლი, მისი ღომი და ღვწო: .

მრთებს აფხაზავას თვი ბეგარაჲ 1 საკლავი, 1 ქათამი, 5 ლიჯის ღომი, 5 ფოხალი ღვინო, გოჭკუმური, როგორაცაჲ ამ სხდს კცებს მრთებს, იმ რიგათ უნდა გრდინხადოს, საყანეთ ოცი კენჭი ყვლი, მისი ღომი და ღვინო:.

მრთებს სტუმრიაჲ სიჭინავას 1 საკლავი, 1 ქათამი, ხუთი ლიჯის ღომი, ხუთი ფოხალი ღვინო, გოჭკუმური როგორაც სხდს ამ კცებს მრთებს იმ რიგი, საყანეთ ამს მრთებს ოცი კენჭი ყვლი, მისი ღომი და ღვინო:.

მრთებს გვგვასა სიჭინავას 1 საკლავი, 1 ქათამი, 5 ლიჯიბი ღომი, 5 ფოხალი ღვინო, გოჭკუმური რაც ამ კცებს მრთებს იმ რიგი, საყანეთ ოცი კენჭი ყვლი, მისი ღომი და ღვინო, მუშაობაჲ და სამსახური ყვლათაჲ:.

**არის: ხიზლას: სასახლე: და: გმოსვლი: მრთებლი:**  
**მოსაკრებლობაჲ:**

მრთებს უჩაკოჩის ქარცხიას გოჭკუმური და ლაშქრობაჲ:.

მრთებს ხუტკუბიას ქარცხიას ვოჭკუმური და 1 საკლავი და 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბაზიარობჲ და 1 ქათამი საქორე, 5 კოკა ღვინო, 20 ჯამი ღომი, ტვრთის ზიდვაჲ, ყლ დღეთ ყანის მუშაობაჲ და ლაშქრობა და ყურძნის კრებჲ და თივის თიბვაჲ, იფქლის მკაჲ, ბეგრის ქათამი:.

მრთებს გიიგონას ქარცხიას საპურობო და ორი საკლავი, 28 ჯამი ღომი, 9 კოკა ღვინო, 1 საქორე ქათამი, ყლის დღის მუშაობაჲ, ტვრთის ზიდვაჲ, ლაშქრობაჲ, 1 ბეგრის ქათამი:.

მრთებს მახოლას ქარცხიას საპურობო, 2 საკლავი, 9 კოკაჲ ღვინო, ოცდარვაჲ ჯამი ღომი, ყლის დღის მუშაობაჲ, საბაზიარო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი, ერთის ქანდაქისა საყანე ღორი, ტვრთის ზიდვა, ყურძნის კრებჲ, პურის მკაჲ, ლაშქრობაჲ

მრთებს გუგუტას ქარცხიას საპურობო, 1 საკლავი, საბაზიარო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი, მუშაობაჲ, ტვრთის ზიდვაჲ, სამი კოკა ღვინო, 10 ჯამი ღომი, ლაშქრობაჲ, ყურძნის კრებჲ, თივის თიბვაჲ:.

მრთებს მახუტოლას ქავთარიას საპურობო, 2 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 2 ჯამი ღომი, 8 კოკა ღვინო, მეოთხეს წელსა ოჩხოლი და ლაშქრობა და მგზავრობა

მრთებს გუგუს ქავთარიას საპურობო და ე(რ)თი საკლავი და ბეგრის ქათამი, 3 კოკა ღვინო, 5 ჯამი ღომი და ლაშქრობა, მეორემეტეს წელსა ოჩხოლი:.

მრთებს გუგულას ქავთარიას საპურობო და 1 საკლავი, 6 კოკა ღვინო, 20 ჯამი ღომი, მეორემეტეს წელსა ოჩხოლი, ბაზი-არობა და ლაშქრობა:.

მრთებს ქეკოჩი ქავთარიას საპურობო და 1 საკლავი, 3 კოკა ღვინო, 5 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი, მეორემეტეს წელსა ოჩხოლი და ლაშქრობა:

მრთებს იწეს ქავთარიას საპურობო და მეორეს წელსა 1 საკლავი, 3 კოკა ღვინო, 5 ჯამი ღომი, ლაშქრობა და მეორემეტეს წელსა ოჩხოლი:.

მრთებს ქეკოჩიას ბეკრალიას საპურობო და 2 საკლავი, 9 კოკა ღვინო, 20 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი და ლაშქრობა.

მრთებს უმეყოთას ბეკრალიას საპურობო 2 საკლავი, 6 კოკა ღვინო, 10 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი, ლაშქრობა და მგზავრობა:.

მრთებს გამიგონას ლომიას საპურობო და 2 საკლავი, 9 კოკა ღვინო, 10 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე საკლავი და საბაზიარო ქათამი, 1 ბეგრის ქათამი, ყლის დღის მუშაობა, ტვრთის ზიდვა, პურის მკა, ყურძნის კრება, თივის თიბვა და ლაშქრობა:.

მრთებს მისკუამს ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 14 ჯამი ღომი, 5 კოკა ღვინო, 1 ბეგრის ქათამი და 1 საბაზიარო, 1 ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, ყლის დღის მუშაობა, თივის თიბვა, პურის მკა, ყურძნის კრება, ბარგის ზიდვა და ლაშქრობა:.

მრთებს ამრხალას ქარცხიას საპურობო და ორი საკლავი, ერთის ქანდაქის ფასი საყანე საკლავი, ცხრა კოკა ღვინო, 28 ჯამი ღომი, საბაზიარო და ბეგრის ქათამი, ყლის დღის მუშაობა, ტვრთის ზიდვა, პურის მკა, ყურძნის კრება, თივის თიბვა, ლაშქრობა:.

მრთებს კუატას ლომიას საპურობო, 2 საკლავი, 1 ქანდა-

ქის ფასი საყანე საკლავი, 9 კოკა ღვწო, 28 ღომი, 1 ბეგრისა და 1 საბაზიარო ქათამი, ყლის დღის მუშაობა და ბარგის ზიდვა, პურის მკა, თიბვა, ყურძნის კრება, ლაშქრობა:.

მართებს სომიხერდას ღომიას საპურობო, 1 საკლავი, 14 ჯამი ღომი, 5 კოკა ღვწო, 1 ბეგრისა და 1 საბაზიარო ქათამი, ყლი დღის მუშაობა, ტვრთის ზიდვა, ყურძნის კრება, თივის თიბვა, ლაშქრობა,\*) ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი:.

მართებს მახუჭბას ღომიას საპურობო და 1 საკლავი, საკლავის ქათამი და საბაზიარო ქათამი, 5 კოკა ღვწო, 14 ჯამი ღომი, ყლი დღის მუშაობა და ტვრთის ზიდვა, პურის მკა და ყურძნის კრება და ლაშქრობა:.

მართებს უღვინობას ქარცხიას საპურობო და 1 საკლავი, 3 კოკა ღვწო, 16 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბაზიარობა და საბაზიარო ქათამი და ლაშქრობა:.

მართებს ლანდაღვის ქარცხიას საპურობო, 1 საკლავი და საკლავის ქათამი, 3 კოკა ღვწო, 16 ჯამი ღომი, ბაზიარობა და ლაშქრობა:.

მართებს ინეს ქარცხიას საპურობო \*\*) და 2 საკლავი, 6 კოკა ღვწო, 26 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, 1 ქათამი საკლავისა და ერთი საბაზიარო, ყლის დღის მუშაობა, ბარგის ზიდვა, თივის თიბვა, ყურძნის კრება, ლაშქრობა.

მართებს კჭუღის ქავთარიას საპურობო \*\*) და 2 საკლავი, 5 კოკა ღვწო, 26 ჯამი ღომი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საბაზიარო, ყლის დღის მუშაობა, თივის თიბვა, პურის მკა, ყურძნის კრება, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი და ლაშქრობა:.

მართებს უჩიას ქავთარიას საპურობო, მესამეს წელსა 1 საკლავი, საკლავისა და საბაზიარო ქათამი, 10 ჯამი ღომი, 3 კოკა ღვწო, ყანის მუშაობა, ყურძნის კრება, თივის თიბვა, ტვრთის ზიდვა და ლაშქრობა:.

მართებს ჯგეკოჩი ქაჯიანის ოჩხოლი, საპურობო, 1 საკლავი, 1 ბეგრისა და 1 საბაზიარო ქათამი, 10 ჯამი ღომი, 5 კოკა ღვწო, ყლის დღის მუშაობა, თივის თიბვა, ყურძნის კრება, პურის მკა, ღვწის გაცივება და ლაშქრობა:.

\*) დეღანში სწერას: ლაშქრობა

\*\*) დეღანში სწერას: საპურობა.



მრთებს უჩყინარას ქაეთარიას ოჩხოლი, საპურობო, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, 6 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, საქორე ქათამი და ლაშკრობაჲ.

მრთებს ობიშხას ქაეთარიას საპურობო, ოჩხოლი, 4 კოკა ღუნო, 5 ჯამი ღომი, ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, მესამეს დღეს მუშაობაჲ და ლაშკრობაჲ.

მრთებს მახრებლს ზარქუას საპურობო, 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ყლის დღის მუშაობაჲ, პურის მკაჲ, ყურძნის კრებაჲ, ლაშკრობაჲ და ტვრთის ზიდვაჲ.

მრთებს მახუტიას ზარქუას საპურობა და 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ყოვლის დღის მუშაობა, ტვრთი(ს) ზიდვაჲ, პურის მკაჲ, თივის თიბვაჲ, ყურძნის კრებაჲ, საკლავისა და საბაზიარო ქათამი.

მრთებს თოლიშისა ზარქუას საპურობო, 1 ბეგრისა და საბაზიარო თითო ქათამი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, ყლის დღის მუშაობა, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ბარგის ზიდვაჲ, პურის მკა, ყურძნის კრებაჲ, თივის თიბვაჲ, ლაშკრობაჲ.

მრთებს კოჩას ზარქუას საპურობო, 1 საკლავი, 4 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, თითო ბეგრისა და საბაზიარო ქათამი, ყლის დღის მუშაობა, ბარგის ზიდვა, თივის თიბვაჲ, ყურძნი(ს) კრებაჲ და ლაშკრობაჲ.

მრთებს სეფეყმს კაჭუას საპურობო და 1 საკლავი, 20 ჯამი ღომი, 6 კოკა ღუნო, ბეგრის ქათამი და ლაშკრობაჲ.

მრთებს კაკაკოჩი უჩაას საპურობა და 1 საკლავი, 5 კოკა ღუნო, 14 ჯამი ღომი, 1 ბეგრი(ს) ქათამი და ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ.

მრთებს ქომიხერდას დოღუზიას ხადილი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ

მრთებს გის ჩიტისა შვილსა ხადილი და ლაშკრობაჲ.

მრთებს იანას თომიას საპურობო და 1 საკლავი, ბეგრის ქათამი, ერთის ქანდაქის ფასი ღორი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, ლაშკრობა და მგზავრობაჲ.

მრთებს ხახულარას ლომიას საპურობო და 1 საკლავი, ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღუნო, 12 ჯამი ღომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ლაშკრობაჲ და მგზავრობაჲ.

მრთებს ქებნას ლომიას საპურობა და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საქანდაქო ღორი, ლაშკრობა, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი და მგზავრობაა:.

მრთებს თაიმაზას ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 1 საქანდაქო საყანო ღორი, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი და ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს ბაბადიბას ლომიას საპურობა და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი, 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი, ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს ივანეს ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი, 1 საქანდაქო ღორი, ბეგრის ქათამი, ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს თალორქოს ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 1 საქანდაქო საყანო ღორი, ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი, ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს თაოკუამიას ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 6 კოკა ღვინო, 12 ჯამი ლომი, 1 საქანდაქო საყანე ღორი, მერემაყობა, (sic) ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს ხუტკუბიას ხრჩავიას ორი უფროსი უმცროსი საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, კვრაშიდ ერთის დღის ყანის შვლა, ლაშკრობა და მგზავრობაა:.

მრთებს კაკა ჩიტას ნოლაშავრიას 1 პურობა, მგზავრო(ბა) და ლაშკრობაა:.

მრთებს კიღულევი ქავთარიას მოინალობა, 1 ბეგარი, 1 ღორი, 8 კოკა ღვინო, 20 ჯამი ლომი, ყლის დღის სასახლის სამსახური, 1 ბეგრის ქათამი:.

მრთებს კიზულვის ქავთარიას მოინალობა, ერთი საკლავი, 8 კოკა ღვინო, 20 ჯამი ლომი, საბაზიარო ქათამი, ყლის დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს მაჭუჭიას ქავთარიას 1 საკლავი, 4 კოკა ღვინო, 10 ჯამი ლომი, 1 ბეგრის ქათამი და ყლის დღის სამსახური სასახლისა და 1 ქანდაქის ფასი საყანე ღორი:.

მრთებს ხუტალვის ქავთარიას მოინალობა, 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი, 10 ჯამი ლომი, 4 კოკა ღვინო, 1 საქანდაქო საყანე ღორი, ყლის დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს ამრცალა ქავთარიას 1 საკლავი, 3 კოკა ღვინო, 10

ჯამი ღომი, 1 საკლავის ქათამი, ყლის დღის მოინალობა და სასახლის სამსახური:.

მრთებს უსკუამადას ქავთარიას 1 საკლავი, საქანდაქო მჭიფე-  
ბი, 5 კოკა ღვნო, 10 ჯამი ღომი, 1 საკლავის ქათამი, ყლის  
დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს მაჭიხოლას ქავთარიას 1 საკლავი, 1 ბეგრის ქათამი,  
5 კოკა ღვნო, 10 ჯამი ღომი, ერთის ქანდაქის ფასი საყანე ღო-  
რი, ყლის დღის მოინალობა და სასახლის სამსახური:.

მრთებს სომიჭერდას ქავთარიას 1 საკლავი, 1 საკლავის ქა-  
თამი, 4 კოკა ღვნო, 10 ჯამი ღომი და მოინალობა და ყლის  
დღის სასახლის სამსახური:.

მრთებს გინაგონას ლომიას საპურობო და 1 საკლავი, 1  
ბეგრის ქათამი, 4 კოკა ღვნო, 10 ჯამი ღომი, ყლის დღის მუშა-  
ობა, ტურთის ზიდვა და ლაშქრობა:.

მრთებს ჭოჭოღეის ქარცხიას ერთი საკლავი, საპურობო, 1  
ბეგრის ქათამი, 3 კოკა ღვნო, 10 ჯამი ღომი, ყლის დღის მუშა-  
ობა და ბარგის ზიდვა:.

მრთებს კაჭუჭიას ბაკურიას ყლის დღის კამბეშის შენახვა:.  
არის ზუგდიდს ივანაია: მრთებს (მეტი ანა სწერია)

შეგრე გვერდზე: არის ხიბლას კუამლი გლეხი ჯუმლად ორ-  
მოცთურამეტი: არის ჯუმლად 41 საპურობო: არის ჯუმლად  
62 საკლავი: არის ჯუმლად 58 ქათამი: არის ჯუმლად 24 სა-  
ყანე საკლავი: არის ღვნო კოკა ჯუმლად 254: არის ჯუმლად  
ჯამი ღომი 665:.

**არის: ნაყანეულს: სასახლე: და: მრთებლი: გმოსვლი:  
მოსაკრებლობა:.**

მრთებს მიხილია უჩიას გოჭკომუ, ბეგარა ტილო, ორი  
გობი ღომი, ორი ქათამი, ექსი ფოხალი ღვნო, ნავტეობა, ყა-  
ნობა:.

მრთებს ზაქარია უჩიას გოჭკომუ, ბეგარა ტილო, 2 გობი

ლომი, 2 ქათამი, 6 ფოხალი ღვინო, ნავტობაჲ და ყანობაჲ:.

მრთებს თოლიოქრო ჯაკობიას გოჭკუმუ, ბეგარაჲ ტილო, 1 ლომი, 2 ქათამი, 6 კოკა ღვინო, ნავტობაჲ, ყანობაჲ, საზროხე სამსვე კიდევ მრთებს:.

მრთებს გურმინილი უჩაიას გოჭკუმუ, ბეგარაჲ ტილო, 2 ქათამი, 6 კოკა ღვინო, მუშაობაჲ, ნავტობაჲ, საზროხე:.

მრთებს მირჩქილია უჩაიას გოჭკუმუ, ბეგარაჲ ტილო, 1 ქათამი, 3 კოკა ღვინო, ნავტობაჲ, ყანობაჲ, საზროხე:.

მრთებს ჯგეკოჩის დიდის გოჭკუმუ, ბეგარა ქათამი, საზროხე, ნავტობაჲ, ყანობაჲ:.

მრთებს ორქოლეი კოდის გუჭკუმუ, ბეგარა ტილო, ქათამი, ზროხის ნახევარი:.

მრთებს ჯგუბურაის გურიშის გოჭკუმუ, ბეგარა საყანე ტილო 2, 8 კოკაჲ ღვინო, ზროხა, ნავტობაჲ, თიბვაჲ:.

